

„საინფორმაციო საზოგადოების“ განვითარების ზოგიერთი
სტატისტიკური ასპექტები საქართველოში

ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი, ევროპის

ცენტრალური უნივერსიტეტი, naira.virsaladze@atsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; შინამეურნეობები; ინტერნეტი; ინფორმაცია; სახელმწიფო სერვისებზე წვდომა.

J.E.L. Classification: C1, O1

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2025.30.02>

ციტირებისათვის: ვირსალაძე ნ., (2025) „საინფორმაციო საზოგადოების“ განვითარების ზოგიერთი სტატისტიკური ასპექტები საქართველოში. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 2(30), გვ. 26-34. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2025.30.02>

ანოტაცია. საზოგადოების პროგრესი და მისი გადასვლა ახალ თვისებრიობაში ყოველთვის იყო დაკავშირებული მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვასთან. ციფრული, საინფორმაციო და საკომუნიკაციო გამოგონებების სფეროში ტექნოლოგიური რევოლუციის ახალი ტალღა, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. შედეგად დასრულდა ინდუსტრიული ეპოქა და იგი პოსტინდუსტრიულ „საინფორმაციო საზოგადოებით“ შეიცვალა. მნიშვნელოვანია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და საზოგადოების კეთილდღეობის ზრდაში. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ფართო გამოყენება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის შინამეურნეობების საქმიანობაში. მათი დახმარებით ისინი იღებენ მრავალმხრივ და მნიშვნელოვან ინფორმაციას. შინამეურნეობების მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2016 წლიდან დაიწყო შინამეურნეობების გამოკვლევა. სტატიაში, ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია შინამეურნეობების კომპიუტერით უზრუნველყოფისა და ინტერნეტთან წვდომის მაჩვენებლები, ნაჩვენებია ამ სფეროში არსებული გამოწვევები და ავტორისეული მოსაზრებები მათი გადაჭრის გზებზე.

შესავალი

საზოგადოების განვითარების ისტორიულ პროცესში გარდამტეხი როლი ინდუსტრიულმა რევოლუციებმა შეასრულა. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ მეოთხე ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქაში, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო და ახალი ათასწლეულის დასაწყისში მოიცვა საზოგადოების საქმიანობის თითქმის ყველა სფერო, შეცვალა ადამიანის მსოფმხედველობა, ხელი შე-

უწყო მისი შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას და მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა (გელაშვილი, 2018)

ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ეკონომიკის განვითარების პროცესში, შეცვალა მისი განვითარების ტენდენციები, როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით. გაიზარდა საწარმოო შესაძლებლობები, მოხდა წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, რე-

სურსების რაციონალური გამოყენება, დანახარჯების შემცირება, შრომის მწარმოებლურობის ზრდა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეამცირა ადამიანის ფუნქციები წარმოების პროცესში, თუმცა სრულად ვერ გამოირიცხა მისი როლი (მიქაუტაძე და ჭულუხაძე, 2016)

საინფორმაციო-საკომუნიკაციო მომსახურების, განსაკუთრებით კი ინტერნეტის დანერგვამ დასაბამი მისცა უპრეცედენტო გლობალურ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს, შესაძლებელი გახდა არნახული სისწრაფით ინფორმაციის მოპოვება/გავრცელება მთელი პლანეტის მასშტაბით, ხელი შეუწყო მსოფლიოს, პრაქტიკულად ყველა კუთხის, ურთიერთდაკავშირებას და სწრაფი ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. ამ პროცესებმა უშუალო გავლენა მოახდინა ცალკეული ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ხელი შეუწყო ახალი ტიპის გაერთიანების, ასოციაციები შექმნას.

ბოლო ათწლეულებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდა საქართველოს მთავრობისათვის. სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები (საინფორმაციო ზონების შექმნა, გადასახადების შემცირება ტექნოლოგიური კომპანიებისათვის), რამაც ხელი შეუწყო, როგორც უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ისე ადგილობრივი საინფორმაციო ტექნოლოგიური კომპანიების განვითარებას. შედეგად, გაიზარდა ციფრული ტექნოლოგიების მოხმარების სიხშირე და მასშტაბები, შინამეურნეო-

ბების წვდომა ციფრული ტექნოლოგიების სერვისებზე.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შესაფასებლად და მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის განვითარების დონის განსაზღვრის მიზნით გამოიყენება „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსი (IDI)“. აღნიშნული ინდექსი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის, გამოყენებისა და უნარების ერთობლიობას აერთიანებს. ქვეყანაში მაღალი დონის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არსებობა მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებელია. 2015 წლისათვის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსი გაუმჯობესდა (გოგოხია და მაჭარაძე, 2018).

2024 წლის მონაცემებით, საქართველომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსში 87,8 ქულა დააგროვა, 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით იგი 4 პოზიციით გაუმჯობესდა და 170 ქვეყანას შორის 57-ე ადგილი დაიკავა, რაც ამ სფეროში მთავრობის სწორი პოლიტიკის და განხორციელებული რეფორმების შედეგია.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენება დაიწყო ახალი ათასწლეულის დასაწყისში. ხელისუფლების მიერ გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, ბიზნესმე-

ნებისა და მოქალაქეებისათვის ციფრული ტექნოლოგიების სერვისებზე წვდომის გასაუმჯობესებლად. მოხდა, ადამიანებზე მორგებული, სახელმწიფო სერვისების კულტურის დანერგვა ახალ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით. სახელმწიფო სერვისების მიწოდებაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებამ შექმნა ახალი შესაძლებლობები, გაიზარდა მათი მოხმარების დონე და მასშტაბები, როგორც საჯარო უწყებებისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის.

ბოლო ათწლეულში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ფართო გამოყენება ჰპოვა შინამეურნეობების ყოველდღიურ საქმიანობაში. მათი დახმარებით შინამეურნეობებს მიეწოდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია. თუ ათეული წლების წინ მოსახლეობის დიდი ნაწილი მეტ დროს უთმობდა ერთმანეთთან პირდაპირ კომუნიკაციას, სავაჭრო ორგანიზაციებში იძენდა პროდუქტს ან სასურველი სერვისის მისაღებად ლოდინი და მეტი დროის ხარჯვა უწევდა, დღეს ურთიერთობებისა და ოპერაცი-

ბის ფორმატმა ელექტრონული სახე მიიღო.

ციფრულ ტექნოლოგიებში განსაკუთრებული ადგილი კომპიუტერმა დაიკავა, მისი გამოყენებით დაიწყო ახალი ერა ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, კომპიუტერი გახდა ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი წყარო შინამეურნეობებისათვის. თუმცა, საქართველოში ცხოვრების დაბალი დონიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ დაბალია კომპიუტერებით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი ქვეყნის ცალკეული რეგიონის, თუ ქალაქ-სოფლის მიხედვით.

2025 წლის გამოკვლევის მიხედვით კომპიუტერით უზრუნველყოფილია საქართველოს შინამეურნეობების მხოლოდ 58.8%. საქალაქო დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი 67.2%, ხოლო სასოფლო დასახლებაში - 47.2%-ია. კომპიუტერით უზრუნველყოფის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა თბილისსა (70.9%) და აჭარაში (65.0%), ხოლო ყველაზე დაბალი რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა (32.7%) და გურიაში (37.5%) (იხ. ცხრ.1).

ცხრილი 1

კომპიუტერით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების
წილი 2020-2025 წლებში, (%)

	2020 ივნისი	2021 ივნისი	2022 ივნისი	2023 ივნისი	2024 ივნისი	2025 ივნისი
საქართველო	61.8	63.8	60.3	57.7	57.6	58.8
ქალაქი	76.0	74.1	70.7	66.3	66.2	67.2
სოფელი	42.4	49.7	46.1	46.0	45.8	47.2
კახეთი	42.6	50.7	54.2	48.8	52.1	50.4
თბილისი	81.4	79.9	73.6	67.4	69.4	70.9
შიდა ქართლი	55.3	62.7	57.3	58.0	53.5	56.7
ქვემო ქართლი	57.0	60.5	55.9	54.5	56.5	57.9
სამცხე ჯავახეთი	57.6	71.2	62.6	56.2	61.4	59.6
აჭარის ა. რ.	69.6	79.1	62.7	68.9	69.6	65.0

გურია	42.5	41.8	41.2	39.3	36.7	37,5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	47.1	53.4	49.2	47.6	41.4	45.3
იმერეთი	53.9	57.5	54.9	52.8	49.4	51.7
მცხეთა-მთიანეთი	56.4	56.2	45.9	55.6	52.6	49.7
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	24.8	28.0	39.1	30.9	35.9	32.7

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi>

სტატისტიკური გამოკვლევების მიხედვით, 2005 წელს საქართველოში ინტერნეტით უზრუნველყოფილი იყო შინამეურნეობების მხოლოდ 21%, 2008 წლისათვის ეს რიცხვი 42 პროცენტამდე გაიზარდა, 2025 წლისათვის კი 92.0 პროცენტს მიაღწია, რაც წინა წლის მაჩვენებელს 0.5 პროცენტული პუნქტით სჭარბობს. საქალაქო დასახლებებში ეს მაჩვენებელი 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და, შესაბამისად, 95.2 და 87.6 პროცენტი შეადგინა (საქსტატი, 2025). ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილის-

სა და აჭარაში. ინტერნეტის მომხმარებელი შინამეურნეობები დიფერენცირებულია არა მარტო საცხოვრებელი ადგილის (ქალაქ-სოფლის, რეგიონის), არამედ ეთნიკური ნიშნისა და შემოსავლების მიხედვით. ოფიციალური მონაცემებით ინტერნეტს მოიხმარს ქართული ოჯახების 76.6%; აზერბაიჯანული ოჯახების - 53.8 %; სომხური ოჯახების - 77.4%; სხვა დანარჩენი ოჯახების - 64.7%. შემოსავლების მიხედვით - ღარიბების -29,8%, საშუალო ფენის -79.9%, შეძლებული ფენის -87.0%, მდიდრების - 98%.

ცხრილი 2

ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი
ქალაქ-სოფლის მიხედვით 2016-2025 წლებში (%)

	საქართველო	ქალაქი	სოფელი
2016 ივნისი	70.1	79.7	57.4
2017 ივნისი	70.7	81.8	56.2
2018 ივნისი	75.8	84.2	64.8
2019 ივნისი	79.3	86.1	69.9
2020 ივნისი	83.8	90.7	74.5
2021 ივნისი	86.1	91.4	78.9
2022 ივნისი	88.4	92.8	82.4
2023 ივნისი	89.0	93.1	83.4
2024 ივნისი	91.5	94.5	87.5
2025 ივნისი	92.0	95,2	87.6


წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით

შინამეურნეობები ინტერნეტს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ. 2025 წლის გამოკვლევის მიხედვით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, ძირითადად ინტერნეტის გამოყენების მიზნებს წარმოადგენდა: ინტერნეტ კავშირი (97.2%), სოციალური ქსელების გა-

მოყენება (96.0%), ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა (55.7%), ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება (52.1%), საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება (47.7%), სამუშაოს ძიება ან სამუშაოსათვის აპლიკაციის განსაზღვრა (11.0%) და სხვა (საქსტატი, 2025)

ნახაზი 1

ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი ქალაქ-სოფლის მიხედვით (%), 2020-2025 წწ.



წყარო: გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით

ჯერ კიდევ დაბალია შინამეურნეობების მიერ ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებლები სახელმწიფო მმართველობის ორგანოებიდან და საჯარო სამსახურებიდან ინფორმაციის მიღების მიზნით. 2025 წლის ივლისის კვლევის მიხედვით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილმა, ვისაც პირად საკითხებზე ინტერნეტით ჰქონდა ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან შეადგინა მხოლოდ 9.2%, საქალაქო დასახლებებში - 11.0%, სასოფლო დასახლებებში - 5.9%. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ზემოთ აღნიშნული მიზნით ინტერნეტი გამოიყენა 15-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის 15.6%-

მა, 30-59 წლის ასაკობრივი ჯგუფის 9.5%-მა და 60 წლის და უხუცესი მოსახლეობის 3.2 %-მა. როგორც ვხედავთ, ასაკის მატებასთან ერთად კლებულობს ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა.

ამდენად, მიმდინარე ეტაპზე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე წარმოდგენილია პროგრესი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. თავისუფალი საზოგადოების საფუძველი ინფორმაციული მოქალაქეა. სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში საზოგადოების აქტიური ჩართვის წინაპირობა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაა.

თანამედროვე ტექნოლოგიებმა მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახადა

მრავალმხრივი ინფორმაცია, რამაც გააი-
ოლა ხელისუფლებისა და საზოგადოე-
ბის ურთიერთობა, ხელი შეუწყო მარ-
თვის გამჭვირვალებასა და მუდმივ სა-
ზოგადოებრივ კონტროლს ხელისუფ-
ლების ქცევაზე. ინტერნეტმა საშუალება
მისცა საზოგადოებას სწრაფად, მინიმალური ეკონომიკური და ფიზიკური და-
ნახარჯებით, თვალი ადევნოს სახელ-
მწიფოს აღმასრულებელ და საკანონ-
მდებლო ინიციატივებს, აქტიურად ჩა-
ერთოს გადაწყვეტილების მიღებისა და
აღსრულების კონტროლის პროცესში. ეს
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქარ-
თველოს რეგიონებში მცხოვრები მოქა-
ლაქეებისათვის, რომლებიც მოკლებუ-
ლი არიან შესაძლებლობებს - აქტიურად
მონაწილეობდნენ ქვეყანაში მიმდინარე
პროცესებში და მხოლოდ პროცესზე
დაკვირვებით შემოიფარგლონ.

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა
ცხადყო, რომ გარკვეული მიღწევების
მიუხედავად, საქართველოში საინფორ-
მაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების
გამოყენების თვალსაზრისით, ჯერ კი-
დეც მნიშვნელოვანი გამოწვევებია. ეკო-
ნომიკური სიდუხჭირის გამო, შინამე-
ურნეობების დიდი ნაწილისათვის
პრობლემას წარმოადგენს საინფორმაცი-
ო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფი-
ზიკური ხელმისაწვდომობა. მნიშვნე-
ლოვანი უთანასწორობაა საინფორმა-
ციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების
გამოყენების კუთხით სოფლისა და ქა-
ლაქის მაცხოვრებელ შინამეურნეობებს,
ასევე საზოგადოების სხვადასხვა სეგ-

მენტს შორის. მოწყვლადი მოსახლეობა,
როგორცაა ღარიბი, შეზღუდული შესაძ-
ლებლობის მქონე პირები, ქალები და სო-
ციალურად დაუცველი ზოგიერთი პირი,
რომელთაგან უმეტესობა სოფლად ცხოვ-
რობს - ნაკლებად სარგებლობენ ინტერნე-
ტით. ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში, მაღა-
ლი დანახარჯებისა და დაბალი უკუგე-
ბის გამო, ინტერნეტი სრულად არ არის
ჩართული; ინტერნეტის გამოყენების
სიხშირით გამოირჩევიან მხოლოდ
ახალგაზრდები; მაღალი ასაკის მოსახ-
ლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ნაკ-
ლებად ფლობს ციფრული ტექნოლოგიე-
ბის უნარებს, შესაბამისად დაბალია მათ-
ვის ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული ნაკლოვანებების აღ-
მოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანია
მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა,
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნო-
ლოგიების გამოყენების მიმართ მოსახ-
ლეობის ცნობიერების ამაღლება და სა-
ზოგადოების ჩართულობის გაზრდის
ხელშეწყობა.

ქვეყანაში ციფრული ეკონომიკისა და
საინფორმაციო საზოგადოების განვითა-
რების მიზნით საქართველოს მთავრობამ
შეიმუშავა 2025-2030 წლების ეროვნული
სტრატეგია, სადაც განსაზღვრულია ის
პრიორიტეტული მიმართულებები, შესა-
ბამისი მიზნები და ამოცანები, რომელთა
შესრულებით 2030 წლისათვის ქვეყანამ
უნდა მიაღწიოს დასახულ სამიზნე მაჩვენ-
ებლებს. სტრატეგიის მიხედვით ყველა
ახალი სახელმწიფო სერვისი უნდა არსე-
ბობდეს ციფრული ფორმით, რათა ისინი
ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების
ფართო ფენებისათვის. სტრატეგიაში გან-

საზღვრული მიზნები სრულად პასუხობს ციფრული ეკონომიკის საინფორმაციო საზოგადოების განვითარების მთავარ გამოწვევებს. იმედია, სტრატეგიით დასახული ამოცანების მიღწევა უზრუნველყოფს ქვეყნის ციფრულ ტრანსფორმაციას და სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს. (2018) ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების გამოყენებისა და გლობალური ტექნოლოგიური პროგრესის ურთიერთკავშირი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N6.
2. გოგოხია ი., მაჭარაძე ნ., (2018) ციფრული უთანასწორობა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. N6.
<https://jyr.tsu.ge/public/uploads/sitepdf/02%E2%80%9303%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf>
3. მიქაუტაძე გ., ჭულუხაძე ტ., (2016). ახალი ინდუსტრიული რევოლუცია: საფრთხე თუ შესაძლებლობა? <http://forbes.ge/news/1236/axali-industriuli-revolucia>
4. საქართველოში ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების ეროვნული სტრატეგია (2025), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
https://www.economy.ge/uploads/files/2017/communications_information_and_modern_technologies/2024/strategy/dts_final.pdf
5. შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები (2025), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 02.09.2025 www.geostat.ge